



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მერხულიუღნი

მერხულიუღნი, ქართულ ჰიმნოგრაფიაში დამკვიდრებული ალიტერაციის სახეობა, რ-იც გულისხმობს ძლისპირ-გალობას შორის ალიტერაციულ თანაფარდობას: გალობის ყოველ მუხლში მეორდება ძლისპირის დასაწყისი ასო, მარცვალი ან სიტყვა. მ-ის დამკვიდრებას გიორგი მერხულის სახელს უკავშირებენ. უძველესი მ. დასტურდება მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ (978-988). მ-ის ფორმით არის დაწერილი „საგალობელნი აღვსებისანი რვა-ხმანი“ (მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“) და გიორგი მთანმიდლის „პარაკლიტონში“ (XI ს., ხელნაწ. A-93) შესული „სამარადისო საგალობელნი რვა-ხმანი“.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., თხზ. კრ. შვიდ ტომად, ტ. 3, თბ., 1965.

---